

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ეროვნული
არქივის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.archives.gov.ge) საინფორმაციო
გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი
მონიტორინგი

2011 წლის 22 ნოემბერი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.


www.idfi.ge / www.opendata.ge


info@idfi.ge



საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ეროვნული არქივი
www.archives.gov.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები





საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ეროვნული არქივის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

➤ ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ

1. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ეროვნული არქივის ხელმძღვანელობის შესახებ არანაირი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება ეროვნული არქივის გენერალური დირექტორის სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა. აგრეთვე, არ მოიძიება მისი არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;
- არ მოიძიება ეროვნული არქივის გენერალური დირექტორის მოადგილის სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა. აგრეთვე, არ მოიძიება მოადგილის არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას (ქვე-)განყოფილებები, სათაურად „გენერალური დირექტორი“ და „მოადგილე“ სადაც განთავსდება მათ შესახებ ყველა ზემოთ აღნიშნული, შესაბამისი ინფორმაცია.

2. ეროვნული არქივის სრული დასახელება არის „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ეროვნული არქივი“, ხოლო ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სიზუსტით ზემოთხსენებული დასახელება:



საქართველოს
ეროვნული არქივი

3. არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, ეროვნული არქივის შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა და ფაქსის ნომერი, ხოლო ეროვნული არქივის საფოსტო მისამართი (საფოსტო ინდექსზე მითითება), მოცემულია, მხოლოდ ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „არქივები“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ადგილობრივი არქივები“, სასურველია აღნიშნული მისამართი განთავსდეს აგრეთვე, არსებულ განყოფილებაში „კონტაქტი“:

ჩვენ შესახებ	მომსახურება	არქივები
თბილისის ცენტრალური არქივი 0177 თბილისი, ზაქარიაშვილის 4 დირექტორი მკაც კვარაცხელია ტელ.: 2394871; 2390180; 2396598; 2397885; 239... აბაშის არქივი 0200, ქ.აბაშა, ჩიქოვანის ქ. 13 დირექტორი ნატალია ქადარაია ტელ.: 8412291005 ადიგენის არქივი ქ. ადიგენი 0300, მესხეთის 19 დირექტორი ლია ჩილინგარაშვილი ტელ.: 8366291614 ამბროლაურის არქივი 0400 ქ.ამბროლაური, ბრატისლავა-რაჭის ქ. 1 დირექტორი მანანა ბაკურაძე ტელ.: 8437221084		საისტორიო ცენტრალური არქივი უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი კინოფოტოფონო ცენტრალური არქივი ქუთაისის ცენტრალური არქივი ადგილობრივი არქივები

მთავარი	ჩვენ შესახებ	მომსახურება	არქივები	საზოგადოებასთან ურთიერთობა	ბმულები	კონტაქტი
ისტორია სტრუქტურა განონმდებლობა ფუძემდებები სიახლე საერთაშორისო ურთიერთობები ვაკანსიები ტენდერები განცხადებები იუსტიციის სახლი საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სახელი: ელ-ფოსტა: შეტყობინება: შეტყობინების გაგზავნა ფოტოგრაფიები კინოგაღიქვა ფონოგაღიქვა ფონდები						

4. მართალია, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „საზოგადოებასთან ურთიერთობა“ მოცემულია ელექტრონული ფოსტის მისამართი და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერი, თუმცა სასურველია, აღნიშნული ინფორმაცია განთავსდეს აგრეთვე, არსებულ განყოფილებაში „კონტაქტი“:

საზოგადოებასა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილება:

- ორგანიზებას უწევს ეროვნული არქივის ხელმძღვანელი პირებისა და თანამშრომელთა პრესკონფერენციებსა და ბრიფინგებს;
- აწყობს მიმდინარე და დასრულებული პროექტების პრეზენტაციას;
- ამზადებს ინფორმაციასა და პრესრელიზებს ეროვნული არქივის საქმიანობის შესახებ;
- მუშაობს ვებგვერდის განახლებაზე.

სააგენტოს საქმიანობის გაშუქებით დაინტერესებულ წებისმიერ ჟურნალისტს შეუძლია მიმართოს სამსახურს და მიიღოს ინფორმაცია ეროვნული არქივის საქმიანობის შესახებ;

სამსახური ოპერატიულ დახმარებას უწევს ჟურნალისტებს ინფორმაციისა ან ოფიციალური პირის კომენტარის მოსაპოვებლად.

საკონტაქტო მონაცემები:

ტელ.: 105916

ელ. ფოსტა: info@archives.gov.ge

5. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ეროვნული არქივის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტები და ფაქსის ნომრები), აგრეთვე, არ მოიძიება ეროვნული არქივის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

ვებ-გვერდზე წარმოდგენილია მხოლოდ ცენტრალური და ადგილობრივი არქივების ტელეფონის ნომრები:

თბილისის ცენტრალური არქივი
0177 თბილისი, ზაქარიაძის 4
დირექტორი მკვა კვარაცხელია
ტელ.: 2394871; 2390180; 2396598; 2397885; 2396893

აბაშის არქივი
0200, ქ.აბაშა, ჩიქოვანის ქ. 13
დირექტორი ნატალია ქადარაია
ტელ.: 8412291005

ადიგენის არქივი
ქ. ადიგენი 0300, მესხეთის 19
დირექტორი ლია ჩილინგარაშვილი
ტელ.: 8366291614

ამბროლაურის არქივი
0400 ქ.ამბროლაური, ბრატისლავა-რაჭის ქ. 1
დირექტორი მანანა ბაკურაძე
ტელ.: 8437221084

ასპინძის არქივი
0500, დაბა ასპინძა, ვარძიის 32
დირექტორი თეონა პაპაშვილი
ტელ.: 8364291219

ახალქალაქის არქივი
0700, ქ.ახალქალაქი, მალხასიანის 2
დირექტორი ნათელა კარახანიანი

ახალციხის არქივი
0800, ქ.ახალციხე, მანველიშვილის 5
დირექტორი ცისანა ნარიმანიძე
ტელ.: 8365220358


ახმეტის არქივი
0900, ქ.ახმეტა, ჩოლოყაშვილის 24
დირექტორი ლალი აბესალაშვილი
ტელ.: 8349220589

ბაღდათის არქივი
1000, ქ.ბაღდათივაჟა-ფშაველას 4
დირექტორი მაია კბილაშვილი

➤ **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

6. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ეროვნული არქივის სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულების ამოცანების აღწერა;
- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.
- სტრუქტურული ერთეულების საკონტაქტო ტელეფონის ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართები.



7. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოების შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არასრული სახით არის წარმოდგენილი ტერიტორიული ორგანოების ჩამონათვალი, კერძოდ, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „არქივები“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ადგილობრივი არქივები“ განთავსებულ ჩამონათვალს აკლია არქივის ერთ-ერთი ტერიტორიული ორგანო - აღმოსავლეთის რეგიონალური არქივი - (ლილოს არქივი):

ჩვენ შესახებ	მომსახურება	არქივები
თბილისის ცენტრალური არქივი 0177 თბილისი, ზაქარიაძის 4 დირექტორი მკვა კვარაცხელია ტელ.: 2394871; 2390180; 2396598; 2397885; 239 აბაშის არქივი 0200, ქ.აბაშა, ჩიქოვანის ქ. 13 დირექტორი ნატალია ქადარაია ტელ.: 8412291005 ადიგენის არქივი ქ. ადიგენი 0300, მესხეთის 19 დირექტორი ლია ჩილინგარაშვილი ტელ.: 8366291614 ამბროლაურის არქივი 0400 ქ.ამბროლაური, ბრატისლავა-რაჭის ქ. 1 დირექტორი მანანა ბაკურაძე ტელ.: 8437221084 ასპინძის არქივი 0500, დაბა ასპინძა, ვარძიის 32 დირექტორი თეონა პაპაშვილი ტელ.: 8364291219 ახალქალაქის არქივი 0700, ქ.ახალქალაქი, მალხასიანის 2 დირექტორი ნათელა კარახანიანი ახალციხის არქივი 0800, ქ.ახალციხე, მანველიშვილის 5 დირექტორი ცისანა ნარიშკიძე ტელ.: 8365220358		საისტორიო ცენტრალური არქივი უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი კინოფოტოფონო ცენტრალური არქივი ქუთაისის ცენტრალური არქივი ადგილობრივი არქივები

- არ მოიძიება ტერიტორიული ორგანოების კომპეტენციის, ფუნქციებისა და მიზნების აღწერა;
- არ მოიძიება ტერიტორიული ორგანო - აღმოსავლეთის რეგიონალური არქივის - (ლილოს არქივი) ხელმძღვანელის სახელი და გვარი და არც ერთი ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები;
- არ მოიძიება ტერიტორიული ორგანოების შენობათა მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკები, ხოლო, არასრული სახით არის წარმოდგენილი საფოსტო მისამართები (საფოსტო ინდექსზე მითითება), კერძოდ, არ არის მოცემული შემდეგი ტერიტორიული ორგანოების საფოსტო მისამართები:

❖ ყაზბეგის არქივი:

ფოთის არქივი
4400, ქ.ფოთი, ლესელიძის ქ. 1
დირექტორი ქეთევან ეფრემიძე
ტელ.: 8493221040

ქარელის არქივი
4500, ქ. ქარელი, სტალინის ქ. 24
დირექტორი მაია ხმალაძე
ტელ.: 8369231425

ყაზბეგის არქივი
დაბა სტეფანწმინდა, ვაჟა-ფშაველას ქ. 1
დირექტორი მარინა სამქანაშვილი

ყვარლის არქივი
4800, ქ.ყვარელი, ი. ჭავჭავაძის ქ. 33
დირექტორი იოსებ ხარებაშვილი
ტელ.: 8352220071

❖ ცხინვალისა და ჯავის არქივი:

ცაგერის არქივი
5100, ქ.ცაგერი, შ. რუსთაველის ქ. 1
დირექტორი იზოლდა ლიპარტელიანი
ტელ.: 847222472

ცხინვალისა და ჯავის არქივი
დირექტორი: ელდარ მაისურაძე

წალენჯიხის არქივი
5200, ქ.წალენჯიხა, კ. გამსახურდიას ქ. 9
დირექტორი დოდო კვარაცხელია
ტელ.: 8416222534

წალკის არქივი
5300, ქ.წალკა, ახალი შუქის ქ. 1
დირექტორი მალხაზ ზოიძე
ტელ.: 8363221437

- არ მოიძიება ტერიტორიული ორგანოების ფაქსის ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართები;
- არასრული სახით არის წარმოდგენილი ტერიტორიული ორგანოების საკონტაქტო ტელეფონის ნომრები, კერძოდ, არ არის მოცემული შემდეგი ტერიტორიული ორგანოების საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

❖ ახალქალაქის არქივი:

ახალქალაქის არქივი
0700, ქ.ახალქალაქი, მალხასიანის 2
დირექტორი ნათელა კარახანიანი

ახალციხის არქივი
0800, ქ.ახალციხე, მანველიშვილის 5
დირექტორი ცისანა ნარიმანიძე
ტელ.: 8365220358

ახმეტის არქივი
0900, ქ.ახმეტა, ჩოლოყაშვილის 24
დირექტორი ლალი აბესალაშვილი
ტელ.: 8349220589

ბაღდათის არქივი
1000, ქ.ბაღდათი-ფშაველას 4
დირექტორი მაია კბილაშვილი

❖ ბაღდათის არქივი:

ახალქალაქის არქივი
0700, ქ.ახალქალაქი, მაღასანიძის 2
დირექტორი ნათელა კარახანიანი

ახალციხის არქივი
0800, ქ.ახალციხე, მანველიშვილის 5
დირექტორი ცისანა ნარიშკინიძე
ტელ.: 8365220358

ახმეტის არქივი
0900, ქ.ახმეტა, ჩოლოყაშვილის 24
დირექტორი ლალი აბესადაშვილი
ტელ.: 8349220589

ბაღდათის არქივი
1000, ქ.ბაღდათი-ფშაველას 4
დირექტორი მამია კბილაშვილი

❖ დმანისის არქივის:

დედოფლისწყაროს არქივი
1600 ქ.დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. 40
დირექტორი ინგა თარაშვილი
ტელ.: 8356222085

დმანისის არქივი
1700, ქ.დმანისი, 9 აპრილის 23
დირექტორი ემზარ პეტრიაშვილი

დუშეთის არქივი
1800 ქ.დუშეთი, სტალინის ქ. 86
დირექტორი ლენა ქადაგიშვილი
ტელ.: 8346222354

❖ თეთრიწყაროს არქივის:

ზუგდიდის არქივი
2100 ქ.ზუგდიდი, იონა მეუნარგიას ქ. 11ა
დირექტორი მამუკა ესებუა
ტელ.: 8415222596

თეთრიწყაროს არქივი
2200 ქ.თეთრიწყარო, თამარ მეფის ქ. 34
დირექტორი მზია წიკლაური

თელავის არქივი
2300, ქ.თელავი, ქ. ჩოლოყაშვილის ქ. 39
დირექტორი გელა გრემელაშვილი
ტელ.: 8350272039

❖ ლანჩხუთის არქივის:

ლანჩხუთის არქივი
2800 ქ.ლანჩხუთი, ჟორდანია ქ. 82
დირექტორი: ნაზიბროლა ლომაძე

❖ ლენტეხის არქივის:

ლენტეხის არქივი
2900, დაბა ლენტეხი, დ. აღმაშენებლის ქ. 18
დირექტორი გრიგელაძე ქურასბედიანი

❖ მარნეულის არქივის:

მარნეულის არქივი
3000 ქ.მარნეული, მ. კოსტავას ქ. 38
დირექტორი მაია სტეფანია

❖ მარტვილის არქივის:

მარტვილის არქივი
3100 ქ.მარტვილი, მშვიდობის ქ. 10
დირექტორი ნესტან ბაჩილავა

❖ მესტიის არქივის:

მესტიის არქივი
3200, დაბა მესტია, კ. გამსახურდიას ქ. 5
დირექტორი მანანა ფალიანი

➤ მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ

8. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა და ტენდერების არქივი, საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, სტატისტიკური მონაცემები, გეგმები და პროგნოზები, პროგრამები და პროექტები, მათ შორის საქართველოში საარქივო საქმის განვითარების საკითხებთან დაკავშირებით შემუშავებული პერსპექტიული მიზნობრივი პროგრამები და მიმდინარე გეგმები, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები და ა.შ.

აგრეთვე, არ მოიძიება ეროვნული არქივის მიერ მომზადებული ცენტრალური საფონდო კატალოგი და სტატისტიკური ანგარიშები; ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების საინფორმაციო-საძიებო სისტემა; ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტების შემადგენლობისა და შინაარსის შესახებ საცნობარო-საინფორმაციო ლიტერატურა, ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების გამოყენებით დამზადებული ბუკლეტები, ბროშურები, სხვადასხვა სახის გამოცემები (ელექტრონული მატარებლის სახით).

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებული ქვე-განყოფილება „განცხადებები“ იუწყება, რომ ამ დროისათვის განცხადებები არ არის:

ამ დროისათვის განცხადებები არ არის


არსებულ განყოფილებაში სათაურად „მომსახურება“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „მკვლევართა დარბაზი“ განთავსებული ბმული - „იხილეთ მომსახურების ტარიფები“ დაზიანებულია:

ეროვნული არქივში მასალის მოსაძიებლად მოქალაქეს შეუძლია ისარგებლოს არქივის სამეცნიერო-საცნობარო აპარატით - მეგზურით, აღწერით, თემატური წუსხით, კატალოგით. საარქივო დოკუმენტები გაიცემა მოთხოვნიდან 24 საათის განმავლობაში, ერთი თვის ვადით, (განსაკუთრებული ღირებულების მქონე დოკუმენტისა - 10 დღით).

საიდუმლო დაცვაზე არსებული დოკუმენტი გაიცემა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწის, კერძო პირის ბიოგრაფიული დოკუმენტი მკვლევარზე გაიცემა არქივში ამ დოკუმენტის მიღებისას დაფიქსირებული პირობების გათვალისწინებით.

მკვლევარს უფლება აქვს, გადაიღოს მისთვის საინტერესო დოკუმენტის ასლი.
[იხილეთ მომსახურების ტარიფები](#)

არსებულ განყოფილებაში სათაურად „მომსახურება“ არსებული ქვე-განყოფილება „ბიბლიოთეკა“ ცარიელია:



განყოფილებაში სათაურად „არქივები“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „საისტორიო ცენტრალური არქივი“ - ქვე-განყოფილებები - „ძველ საბუთთა განყოფილება“ და „საერთო ფონდების განყოფილება“ ცარიელია:

მომსახურება	არქივები	საზოგადოებასთან ურთიერთობა
	საისტორიო ცენტრალური არქივი	მველ საბუთთა განყოფილება
	უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი	საერთო ფონდების განყოფილება
	კინოფოტოფონო ცენტრალური არქივი	
	ქუთაისის ცენტრალური არქივი	
	ადგილობრივი არქივები	

განყოფილებაში (ბანერი) სათაურად „გამოფენები“ განთავსებული ყველა ბმული ცარიელია, გარდა ბმულისა - „აფხაზეთი ფოტოებსა და ხელნაწერებში“:



პოლონელები საქართველოში



აფხაზეთი ფოტოებსა და ხელნაწერებში



მეფე ერეკლე მეორეს საბუთები



ექვთიმე თაყაიშვილი



ვახტანგ ჭაბუკიანის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა



ქართული კინო 100 წლისაა



- ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები

9. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში (ბანერი) სათაურად „პუბლიკაციები“ განთავსებულია ეროვნული არქივის საქმიანობის ერთადერთი წლიური ანგარიში (2009 წლის ანგარიში), სასურველია ვებ-გვერდზე შეიქმანს ცალკეული (ქვე-)განყოფილება სათაურად „წლიური ანგარიში“, სადაც განთავსდება აღნიშნული ანგარიში და აგრეთვე, ეროვნული არქივის საქმიანობის ამსახველი 2010 წლის და 2011 წლის მიმდინარე/კვარტალური ანგარიშები:



ბუკლეტი ეროვნული არქივის შესახებ

საქართველოს ეროვნული არქივის 2009 წლის მუშაობის ანგარიში


10. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „სტატისტიკა“, სადაც განთავსდებოდა ეროვნული არქივის მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია და მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ ეროვნული არქივის საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას.

11. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „პროგრამები/პროექტები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების/პროექტების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ეროვნული არქივი. აგრეთვე, ცნობები იმ პროგრამების/პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს ეროვნული არქივი.

12. სასურველია, ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილებები „საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და ეროვნული არქივის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

➤ **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

13. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „კანონმდებლობა“ განთავსებული პირველი სამართლებრივი აქტი „საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ არ ექვემდებარება ჩამოტვირთვას:



ამასთან, მოცემულ განყოფილებაში ორი სამართლებრივი აქტი - საქართველოს კანონი „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“ და საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ მოცემულია

სასურველია, მოცემულ განყოფილებაში განთავსდეს, აგრეთვე, ეროვნული არქივის საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები; აგრეთვე, ეროვნული არქივის გენერალური დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები (მათ შორის, მის მიერ დამტკიცებული ეროვნული არქივის ცენტრალური საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის, ხოლო ცენტრალურ არქივებში – საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიების დებულებები და შემადგენლობა; მოადგილეების უფლებამოსილებების განმსაზღვრელი ბრძანებები, ეროვნული არქივის შინაგანაწესი; დამტკიცებული ეროვნული არქივის საშტატო ნუსხას, თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოს კატეგორიები, ეროვნული არქივის სისტემაში სტაჟირების გავლის ინსტრუქცია, ცენტრალური აპარატის ქვედანაყოფებისა და ცენტრალური არქივების დებულებები, ტერიტორიული ორგანოების – რეგიონული და ადგილობრივი არქივების დებულებები, საშტატო ნუსხა და ხარჯთაღრიცხვა; აგრეთვე, გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ატესტაციის წესი და პირობები.)

ამასთან, შემდეგი სამართლებრივი აქტები - ეროვნული არქივის დებულება და შინაგანაწესი (რომლებიც არ მოიძიება) სასურველია, მოიძიებოდეს ცალკეულ ქვე-განყოფილებებში.

სასურველია აღნიშნულ განყოფილებაში, აგრეთვე, მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

- საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“; (აღნიშნული სამართლებრივი აქტი განთავსებულია ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „კანონმდებლობა“ თუმცა, არ ექვემდებარება ჩამოტვირთვას)
- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

აგრეთვე, ეროვნული არქივის მიერ შემუშავებული საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანების პროექტი დაწესებულებებში ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დროებითი შენახვის ზღვრული ვადების შესახებ; იუსტიციის მინისტრის ბრძანების პროექტი „ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების შენახვისა და დაცვის პირობების შესახებ“; ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების ცენტრალიზებული აღრიცხვის წესისა და აღრიცხვის ცნობის ფორმა; „ეროვნული საარქივო ფონდის სახელმწიფო საკუთრების დოკუმენტებთან დაშვების წესი“; საქმისწარმოებისა და დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესები;

საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას

14. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

15. ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და ეროვნულ არქივში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

16. საქართველოს ეროვნული არქივი ახორციელებს სახელისუფლებო ქმედებას, კერძოდ, დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის ჩატარებისათვის კერძო სამართლის იურიდიული პირების აკრედიტაციას, ხოლო, ვებ-გვერდზე არ მოიძიება აღნიშნულ ქმედებათა განხორციელებასთან დაკავშირებით არანაირი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- აკრედიტაციის განხორციელების თაობაზე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვის წესის აღწერა (მათ შორის საკონტაქტო ინფორმაცია);

- აკრედიტაციის საფასურის შესახებ ინფორმაცია;
 - მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის გადახდისათვის განკუთვნილი რეკვიზიტები;
 - იმ თანამდებობის პირთა საკონტაქტო რეკვიზიტები (ტელეფონის ნომრები, ელ. ფოსტები), რომლებიც პასუხისმგებელნი არიან აკრედიტაციის განხორციელებაზე.
- საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები

17. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა ეროვნულ არქივსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, ეროვნულ არქივსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

18. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებული ქვე-განყოფილება „ტენდერები“ ცარიელია:

ჩვენ შესახებ	მომსახურება	არქივები
ისტორია		
სტრუქტურა		
კანონმდებლობა		
ფუნქციები		
სიახლე		
საერთაშორისო ურთიერთობები		
ვაკანსიები		
ტენდერები		
განცხადებები		

სასურველია, აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში განთავსდეს ეროვნული არქივის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების

პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და ასევე, ეროვნული არქივის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია. **(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, საქართველოს ეროვნული არქივისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და თითოეულ მათგანზე გახარჯული თანხის ოდენობა, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ეროვნული არქივის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:**


http://www.opendata.ge/pdf_files/erovnuli.arqivi_shesyidvebi.pdf

გრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია), რომელიც ასევე, მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ეროვნული არქივის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/arqivi_shesyidvebi0001.pdf.

➤ საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა

19. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებული ქვე-განყოფილება „ვაანსიები“ იუწყება, რომ ამჟამად ვაკანსიები არ არის:



ეროვნული არქივის ვაკანსიის რამდენიმე განცხადება წარმოდგენილია ვებ-გვერდზე განთავსებულ საინფორმაციო ხასიათის მიმოხილვებში (განყოფილებაში სათაურად „სიახლე“):



2011-02-25 12:56:04

კონკურსი ბათუმის იუსტიციის სახლში ეროვნული არქივის თანამშრომლის ვაკანსიაზე



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივი ბათუმის იუსტიციის სახლში ეროვნული არქივის მოქალაქეთა მისაღების უფროსი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსს აცხადებს.

ამ თანამდებობაზე მომუშავის ფუნქცია ბათუმის იუსტიციის სახლში საარქივო კუთხით მოქალაქეთათვის კონსულტაციის გაწევა და მათი მომსახურება იქნება.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა 2011 წლის 25 თებერვლიდან 4 მარტის ჩათვლით მხოლოდ შევსებული სააპლიკაციო ფორმა (**იხილეთ დანართი**) უნდა გააგზავნონ ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: avacharadze@archives.gov.ge.

კონკურსის თაობაზე დაწვრილებითი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია ეროვნული არქივის ვებგვერდზე, www.archives.gov.ge ვაკანსიების განყოფილებაში.



2011-02-24 19:50:00

ეროვნულ არქივში არსებულ ვაკანსიებზე კონკურსი გამოცხადდა



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივი სხვადასხვა ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსს აცხადებს.

ვაკანტურია: გენერალური დირექტორის მოადგილის, დოკუმენტების რესტავრაციისა და მიკროფილმირების ლაბორატორიის უფროსის, საფინანსო სამსახურის უფროსის, შესყიდვების სამსახურის უფროსისა და საორგანიზაციო განყოფილების სპეციალისტის - კურიერის (სამუშაო პერიოდი - 4 თვე) თანამდებობები.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა სააპლიკაციო ფორმა 2011 წლის 14 თებერლიდან 28 თებერვლის ჩათვლით უნდა გააგზავნონ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: avacharadze@archives.gov.ge. სააპლიკაციო ფორმის მიტანა შესაძლებელია, აგრეთვე, საქართველოს ეროვნული არქივის მოქალაქეთა მისაღებშიც, შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №1.

კონკურსის თაობაზე დაწვრილებითი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია ეროვნული არქივის ვებგვერდზე: www.archives.gov.ge, www.archives.gov.ge ვაკანსიების განყოფილებაში.

სასურველია, აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში განთავსდეს ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (ეროვნული არქივის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება)

მითითებით, ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი (სათანადო ცოდნა და გამოცდილება, ძირითადი უნარ-ჩვევები), საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

20. სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას ცალკეული (ქვე-)განყოფილება სათაურად „სტაჟირება“ სადაც განთავსდება ეროვნული არქივის სტაჟირების, ატესტაციის, ტრენინგების, პროფესიული დაოსტატების, სასწავლო ანდა სემინარების კურსის შესახებ ცნობები.

➤ საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)

21. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ეროვნული არქივის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის არანაირი ინფორმაცია:

- არ მოიძიება ეროვნული არქივისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველწლიური ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება ეროვნული არქივის ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების / ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია; *(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, საქართველოს ეროვნული არქივისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ხარჯვის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის 2011 წლის მეორე კვარტალის შესრულების ბალანსი/ანგარიში), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ეროვნული არქივის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

http://www.opendata.ge/pdf_files/Budget_erovnuliarchivi.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ბალანსი), რომელიც ასევე, მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ეროვნული არქივის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/budget_arqivi0001.pdf).

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება ეროვნული არქივის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, საქართველოს ეროვნული არქივისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ თანამდებობის პირებზე და სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) გაცემული ხელფასების, დანამატებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ეროვნული არქივის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

http://www.opendata.ge/pdf_files/erovnuli.arqivi_premia.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გაცემული ხელფასების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც ასევე, მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ეროვნული არქივის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:


http://www.opendata.ge/pdf_files/xelfasipremia_arqivi.pdf).

- არ მოიძიება ეროვნული არქივის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ეროვნული არქივი;

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ ეროვნული არქივისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.


შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:

ტექნიკური პარამეტრების გამართულობა და არსებობა
ოფიციალურ ვებ-გვერდზე



ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი

■ ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე




➤ **ნავიგაცია**

ვებ-გვერდის ნავიგაცია საკმაოდ მოძველებულ ფორმატშია წარმოდგენილი:




➤ **ძიება**

ვებ-გვერდის ძიების მოდული არ ფუნქციონირებს:



➤ მარტივად აღქმის კრიტერიუმები

ვებ-გვერდზე არსებობს ცარიელი გვერდები, სადაც არ მოიპოვება არანაირი ინფორმაცია:



ცარიელ გვერდებზე აუცილებლად უნდა იყოს შესაბამისი შეტყობინება მაგ., რომ ინფორმაცია მზადების პროცესშია;

ვებ-გვერდის ბანერის ფონტის ზომები საკმაოდ პატარაა, რის გამოც რთულია მათი წაკითხვა:



საჭიროა უფრო დიდი ზომის ფონტის გამოყენება, რათა მომხმარებელმა მარტივად შესძლოს ბანერებზე ტექსტის გარჩევა;

➤ საკონტაქტო ფორმები და წესები

ვებ-გვერდზე საკონტაქტო ინფორმაცია მხოლოდ საკონტაქტო ფორმით არის შემოფარგლული, აუცილებელია აღნიშნულ განყოფილებაში საჯარო დაწესებულების ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მისამართის არსებობაც:

➤ ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა

ფოტო-გალერიის ბანერზე გადასვლით ვხვდებით სხვა ვებ-გვერდზე:

თუმცა მისამართი იგივე რჩება: www.archives.gov.ge შესაბამისად, მომხმარებელი ვერ ხვდება, იგივე გვერდზე იმყოფება თუ სხვა ვებ-გვერდზე აღმოჩნდა;

➤ სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი

ვებ-გვერდზე გაუმართავია პროგრამული (ვებ-გვერდის სტრუქტურული HTML/CSS) კოდი, რის გამოც ზოგიერთ კატეგორიაში არ ჩანს სურათები:

გამოცდილების გაზიარება.



ამ მიზნით, ეროვნულმა არქივმა უკვე გააფორმა საერთაშორისო თანამშრომლობის მემორანდუმები ლიტვისა და პოლონეთის საარქივო დეპარტამენტებთან, აზერბაიჯანის რესპუბლიკის საარქივო სამმართველოსთან. წლის ბოლომდე ანალოგიური დოკუმენტები გაფორმდება უკრაინის, ყაზახეთის და უნგრეთის სახელმწიფო არქივებთან.

ხელმოწერილი დოკუმენტები ითვალისწინებს საერთაშორისო პროექტებში ქართველ სპეციალისტთა მონაწილეობას, მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლას, უცხო ქვეყნების საარქივო დაწესებულებების დელეგაციების ეროვნულ არქივში ვიზიტებს, უცხოელ მკვლევართა მუშაობის უზრუნველყოფას, ქართველი სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებას.

ეროვნული არქივი პერიოდულად მასპინძლობს საზღვარგარეთის ქვეყნების საარქივო დაწესებულებების დელეგაციებს. მათი ვიზიტის ფარგლებში არქივის დარბაზში გამოიფინა არქივის ფონდებში დაცული, რესტავრირებული უძველესი უნიკალური ხელნაწერები, ფოტო და კინომასალა. მოეწყო გამოფენა „პოლონელები საქართველოში“, რომელზეც წარმოდგენილი იყო პოლონეთის შესახებ ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტები.


ეროვნული არქივი აგრძელებს მუშაობას საზღვარგარეთის ქვეყნების ანალოგიურ დაწესებულებებთან თანამშრომლობის დამყარებისა და გაღრმავების მიზნით.

➤ ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან

ვებ-გვერდს არ აქვს ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან.

➤ ონლაინ სერვისები

სიახლეების გამოწერის სერვისი არ ფუნქციონირებს კორექტულად:



დააჭირეთ გაგზავნის დილაგს

სახელი:


ელ-ფოსტა:

შეტყობინება:

შეტყობინების გაგზავნა

➤ უსაფრთხოება

ვებ-გვერდის ადმინ პანელის მიგნება, რაც არასასურველია უსაფრთხოების კუთხით:



ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდზე არსებული მოდულების უმეტესობა, მაგალითად სიახლეების გამოწერის სერვისი, მიების მოდული და ასევე სხვა მოდულები არ ფუნქციონირებს. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ვებ-გვერდს არ აქვს დასრულებული სახე, იგი საჭიროებს მოდულების (განსაკუთრებით ელექტრონული გადახდების სერვისის) დამატებას, ინტეგრაციას სოციალურ ქსელებთან და სხვა.